კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ssip ქ. თბილისის მე-12 საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	**მოსწავლეები**
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	მეორე (ბ) კლასი . 29 მოსწავლე
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	ცხვირს მაღლა ვინ იწევს? (იაკობ გოგებაშვილი) პ.ს. მოსწავლეთა ასაკიდან გამომდინარე შევარჩიეთ აღნიშნული ნაწარმოები.
ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში *(მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფინედუს ვებგვერდს)*	დაზოგვა (სამომავლოთ დაიგეგმა ბიუჯეტირება)
სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები *(მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)*	პაუზებით კითხვა დისკუსია ვენის დიაგრამა კეთებით სწავლა როლური თამაში მოსწავლე/ექსპერტი მონაცემების შეგროვება 3 რა
აქტივობის აღწერა *(აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)*	ამა წლის 23 მაისს, ჩავატარეთ ქართული გაკვეთილი (ორი საათი), სადაც განვიხილეთ იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა ,,ცხვირს მაღლა ვინ იწევს?“ 1. მასწავლებელმა დაარიგა ამობეჭდილი ფურცლები, სადაც ეს ნაწარმოები იყო დაბეჭდილი; 2. პაუზებით კითხვის მეთოდის გამოყენებით ხდებოდა ტექსტის წაკითხვა; 3. პაუზის ინტერვალებში მიდიოდა დისკუსია რამოდებოდა შემდეგ და რას ფიქრობდნენ ისინი. 4. მოსწავლეებმა განიხილეს უცხო სიტყვები და შეადარეს ქარაფშუტა და განათლებული ერთმანეთს.

5. მოსწავლეებმა აღმოაჩინეს, რომ განათლებული ადამიანი უკეთ ცხოვრობს, ხოლო ქარაფშუტა კი ხელმოცარულია.
6. მათ გაიხსენეს ნასწავლი ნაწარმოები ,,სიზარმაცეს მათხოვრობა მოსდევს“ და დააკავშირეს ის ზემოთხსენებულ ნაწარმოებთან.
7. მოსწავლეები ვენის დიაგრამის მეთოდის გამოყენებით, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ცოდნა და სიბეჯითე უნდა იყოს ერთობლიობაში, თორემ სწავლულ ზარმაცს ძალიან გაუჭირდება ცხოვრება.
8. მასწავლებელმა გააღვივა ინტერესი და შექმნა მოტივაცია, რომ მომზადებულიყვნენ მეორე დღისთვის და ისინი შეძლებდნენ ესწავლათ ერთ-ერთი საუკეთესო ხერხი იმისთვის რომ უკეთ ეცხოვრათ.

24 მაისს, მთელი დღე მიეძღვნა პროექტს ,,პური ჩვენი არსობისა“ ეს იყო ქართულის, ბუნებისა და მათემატიკის ინტეგრირებული გაკვეთილი.

ბუნების გაკვეთილზე

ნახეს ვიდეო ფილმები ხორბლის მოვლა-პატრონობაზე, აღება-დამუშავებაზე. ისინი ეკრანზე ნაჩვენებ ზოგიერთ თავაწეულ ხორბალს ფშუტე ხორბალს ეძახდნენ. შედგა დისკუსია. მათ გააცნობიერეს, თუ რამხელა შრომაა საჭირო, იმისთვის რომ მათ გემრიელი პური მიირთვან.

სპეციალური პურის საცხობი დანადგარის საშუალებით მათ თავად გამოაცხეს პური. აკვიდებოდნენ აფუებისა და მოზელვის პროცესს.

ქართულის გაკვეთილზე

ისწავლეს რეცეპტის წერა, გადაინაწილეს როლები, დაათვალიერეს სკოლის ბიფეტი და უშუალოდ ნახეს ცხობის პროცესი. ,,მცხობელები“ სამზარეულოში მიეხმარნენ, ექსპერტებმა კი ჩანაწერები გააკეთეს. მათ თვალს საცხობში არსებული სისუფთავე არ გამოპარვიათ და ჩანაწერებში აღნიშნეს.

მოსწავლეებმა იმსჯელეს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სისუფთავე ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

მათემატიკის გაკვეთილზე

	მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად ეწვივნენ სკოლასთან ახლომდებარე მაღაზია კარფურს, სადაც აწონეს თავიანთი გამომცხვარი პური, შეაგროვეს მონაცემები სხვადასხვა ხარისხის პურზე, შეადარეს წონა და ფასები. დააგემოვნეს თავიანთი გამომცხვარი პური.
შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)*	მოსწავლეებმა თავად აღმოაჩინეს, თუ როგორ არის შესაძლებელი ფ უ ლ ი ს დ ა ზ ო გ ვ ა ოჯახში. გაარკვიეს რომ მათი ხელით პურის გამოცხობა დღეში 4 ლარის მოგებას წარმოადგენდა, რაც თვეში უკვე საშუალოდ 120 ლარი იყო. მეორეკლასელებმა, "ასწავლე ფინანსები ლიტერატურით" კონკურსის ფარგლებში საკმაო ცოდნა შეიძინეს. მოსწავლეებს დარიგებული ჰქონდათ ბარათები, რომელიც ,,3 რა“-ს მეთოდით უნდა უნდა შეევსოთ. 1. რა ვიცოდი 2. რა გავიგე 3. რას გავაკეთებ მომავალში სწორედ ამის საფუძველზე, მათ გადაწყვიტეს შეადგინონ ნამცხვრის რეცეპტების სასკოლო წიგნი, სადაც დათვლილი იქნება ყველა გამოყენებული მასალის ფასები და გამოითვლიან თვითღირებულებას. შემდეგ ფრთებს შეასხამენ და მოახდენენ საკუთარი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვას. იხ. შემდეგი ბმულები: https://www.facebook.com/100057627392774/posts/895827202348185/?mibextid=WaXdOe&rdid=GMGaH0hb6ifX4dZ4 https://www.youtube.com/watch?v=5ST2eFVH54E https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid02Bpn2kaCHLKcxZDCiK32eLfmWSkPGBEwQvGhH44VE3SfY5Qzg9WjGubSd7ZsTpystl&id=100057627392774&rdid=z82TpSQBlQTSrX3b